„დინამო“ (თბილისი) – „დინამო“ (მოსკოვი) 1:1 (0:0).

თბილისი. 14 ივნისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი.

თბილისი: გაბელია, კეტაშვილი, ცვეიბა, ჭედია, კუდინოვი, ჟორდანია (კორღალიძე, 30), გოგრიჭიანი, სულაქველიძე, ჟვანია, გურული, ქეცბაია (შენგელია, 57).

მოსკოვი: უვაროვი, ლოსევი, პოზდნიაკოვი, ნოვიკოვი, სილკინი, მოროზოვი, დემიდოვი, ვასილიევი (კარატაევი, 89), კოლივანოვი, დობროვოლსკი, ბოროდიუკი (სკლიაროვი, 85).

მსაჯი მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).

გააფრთხილეს კეტაშვილი.

ამ მატჩში თბილისის „დინამომ“ ერთი ქულის მოპოვება კი შეძლო, მაგრამ გულშემატკივართათვის ხასიათის გამოკეთება ვერ მოახერხა. არადა, ჩვენი ფეხბურთელები, უდავოდ, ჯერ კიდევ ვალში არიან თავიანთ ქომაგებთან.

პირველმა ტაიმმა ერთობ უფერულად ჩაიარა. ერთადერთი შემთხვევა, როცა მაყურებლები ოდნავ გამოცოცხლდნენ, 36-ე წუთზე მოხდა: გურული შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე, მაგრამ იგი უხეშად წააქციეს და მსაჯმა სამართლიანად დანიშნა 11-მეტრიანი. მაგრამ თბილისელებმა ვერ გამოიყენეს გოლის გატანის ეს საუკეთესო შესაძლებლობა, ჟვანიას დარტყმული ბურთი საკმაოდ იოლად მოიგერია უვაროვმა.

მოსკოველმა მეკარემ მეორე პენალტის დროსაც გამოიცნო ბურთის მიმართულება. ეს უკვე შესვენების შემდეგ , მაგრამ კარის გადარჩენა ამჯერად ვეღარ შეძლო - გურულმა ჟვანიასგან განსხვავებით ძლიერად და ზუსტად დაარტყა მიზანში.

სამწუხაროდ, 81-ე წუთზე გურულის მიერ 11 მეტრიდან გატანილი გოლი პირველი არ იყო ამ მატჩში. 62-ე წუთზე მოსკოველებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს, დობროვოლსკი მეკარე გაბელიასთან პირისპირ გავიდა და უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში.

მეორე ტაიმში, განსაკუთრებით ბოლო წუთებში, თბილისელები გამეტებით, მთელი შემადგენლობით მიაწყდნენ მეტოქის საჯარიმოს, მაგრამ თუ არ ჩავთვლით იმ ეპიზოდს, როცა 69-ე წუთზე გოგრიჭიანის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, შეიძლება ითქვას, რომ მასპინძლებს რეალური საფრთხე მეტოქის კარისთვის არც შეუქმნიათ.

ბოლო ორ მატჩში დაკარგული 3 ქულა მით უფრო საგრძნობია, რომ პირველი წრის ფინიშზე ჩვენს გუნდს ძნელი მატჩები მოელის მოსკოვში, იმავე „დინამოსა“ და ცსკა-სთან.

ლელო 16.06.1987

დინამოელთა 2.100-ე გოლი

თბილისისა და მოსკოვის დინამოელ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის გუშინწინდელ მატჩში თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელმა გ. გურულმა 11-მეტრიანით საპასუხო ბურთი გაიტანა მოსკოველ თანაკლუბელთა კარში.

ეს გოლი 2.100-ეა, რომელიც თბილისის დინამოელებმა საკავშირო ჩემპიონატებში მონაწილეობის ისტორიაში გაიტანეს მეტოქეთა კარში.

თენგიზ მიქელაძე

3 სექტემბერი
დუბლიორთა მატჩი

გუშინწინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გამართული XX ტურის გამოტოვებული მატჩი თბილისისა და მოსკოვის „დინამოს“ დუბლიორ ფეხბურთელთ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 1:1, თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ფანცულაიამ.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა: ბაბუაძე, ფირცხალავა, თეთრაძე, მალანია, ჩხაიძე (წიკლაური), რევიშვილი, გუბაზი, ქეცბაია (ჯიშკარიანი), ფანცულაია, აჯოევი (ნეფარიძე), მიქაშავიძე.